მოძრაობა-გადაადგილების ზმნების მოდელირება და მათი ლემატიზაცია კორპუსში

Morphological modeling and corpus lemmatization of motion-movement verbs in Georgian

ჯუანშერ წიქარიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

კურსის ხელმძღვნელი: რუსუდან გერსამია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯუნაშერ წიქარიშვილი

06.15.2023

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები, მათი პარადიგმატული და სინტაგმატიკური თავისებურებები. სემანტიკური კლას-კატეგორიებით გაერთაინებული ზმნური ფორმების აღწერა-კლასიფიკაცია, მათი ცალკე გამოყოფა და მისადაგება გრამატიკულ კატეგორიებთან, საშუალებას იძლევა ვიპოვოთ კავშირი ფორმასა და ფუნქციას შორის, გავიგოთ, როგორ რეპრეზენტირედება ზოგადი გრამატიკული წესები, კონკტერული ლექსიკური შინაარსით შემოსაზღვრულ სიტყვაფორმებთან.

ნაშრომის მიზანია, მოძრაობა-გადაადგილების ზმნებისათვის მორფოლოგიური მოდელების აგება, მორფემათა რანგის განსაზღვრა და მოდელირებისთვის საჭირო წესების მიგნება.

ნაშრომში გამოყენებულია მასალა ქართული ენის კორპუსებიდან gnc.gov.ge; corpora.iliauni.edu.ge (GNC, GLC). ზმნები დაჯგუფებული და განხილულია, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული გვაროვნული სისტემის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას.

ნაშრომი იყოფა თავებად და ქვეთავებად: პირველ თავში ერთიანდება შესავალი, და განვიხილავთ გრამატიკული კატეგორიების თავისებურებებს, მეორე თავში განვიხილავთ, მოძრაობა-გადაადგილების ზმნების უღლებისა და ლემატიზაციის თავისებურებებს. ნაშრომს თან ახლავს დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

Abstract

The paper reviews verbs denoting movement and their paradigmatic and syntagmatic features. The description-classification of verb forms combined with semantic class categories, their separation and adaptation to grammatical categories allows us to find a connection between form and function, to understand how general grammatical rules are represented with word forms limited by concrete lexical content.

This research aims to build morphological models, determine the rank of morphemes and find the rules necessary for modeling before the paper extensive observation of movement verbs, for which we used Georgian language corpora (GNC, GLC). The verbs are grouped and discussed according to the genitive system prevailing in the Georgian linguistic literature, which is the basis for the division of Georgian verb conjugations into types.

The work is divided into chapters and sub-chapters: the first chapter contains the introduction and discusses the peculiarities of grammatical categories. The second chapter discusses peculiarities of conjugation and lemmatization of verbs of movement. The paper entails a conclusion and a list of used literature.